სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია.

წელიწადი პირველი.

კარასკევი, დეკემბრის 27, 1918 წ.

ბრძოლაში ჰპოვეგ შენს უფლებას.

ᲨᲠᲝᲛᲐ

გაზეთის ფასი ათი შაური.

გაზეთი გამოდის ყოველ-დღე გარდა უქმეების შემდეგ დღეებისა

გაზეთის ფასი:
ერთი თვით 10 მან., ცალკე ნომერი ყველგან ა თ ი შაური.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ.

სამგლოვიარო განცხადება:
12 საათამდის—15 მან., შემდეგ 20—მ.

რედაქცია ღიაა დილის 10—2 ს.
რედაქტორთან ჰარადგთ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—12 ს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлис, Контора газ. „Шрома", Баронская ул., № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს კანტორა ვერ მიიღებს. კანტორა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 5—7 სათ. რედაქციის სახელზე გამოგზავნილი წერილები უნდა იწერებოდეს ცალ გვერდზე, სუფთათ და გარკვევით. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

მისამართი: Тифлис, Редакція „Шрома", Барон ул. № 16.

№ 110 ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢ-ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ. № 110

ნომრის შინაარსი.

წერილები:

...თაური. ადერბეიჯანი ომის შესახებ.
...ლიანი. ინგლისელები ჩვენში.
...ი. სახელმწიფო კონტროლისათვის.
...ოლიუციონერი. ძვირფას ამხ. ...ვანო ჟორდანიას ხსოვნას.
——
...ართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მეორე ...ყრილობა (ანგარიში)
——
...სწრე. პარტიული ცხოვრება (ანგარიში)
——
...ეის ხიდის აფეთქების საქმე.

ცნობები:

გერმანიასა და უკრაინაში მყოფ გერმანელ ჯარებს შორის საფოსტო კავშირი შესწყდა.
მასარიკი აირჩიეს ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკის პრეზიდენტათ.
გერმ. სოც.-დემოკრატიულ უმრავლესობის პარტიამ გამოაქვეყნა დამფუძნებელ კრების კანდიდატთა სია.
საბუთები ომის პასუხისმგებლობის შესახებ გამოქვეყნდება ერთი თვის შემდეგ.
შულავერის და დავეტ-ხაჩინის რაიონში ბრძოლა სწარმოებს.

მიიღება ხელის მოწერა

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠ ᲒᲐᲖᲔᲗ

„ᲨᲠᲝᲛᲐ"-ᲖᲔ

მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა, № 16, გაზ. „შრომა"-ს კანტორა.

...იმი ქალი რ. ბ. შიშლოვ-საგაშვილი.
...ციონის დოქტორი ჟენევის უნი...ტეტისა და ედინბურგის მედი...ინირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ...ლ დღე შინაგან, ქალურ და ...ციულ ავადმყოფთ და იძლევა ...ია დარიგებას. სიფილისის წამ...ა ახალი მეთოდებით. დილის ...12 ს. და საღამის 6—7 ნახ. ...ამდე. მიხაილოვის პრ., სახლი № 119 ტელ. 8—26.

ექიმი ი. კ. აბაკელია
შინაგანი ავადმყოფობა.
განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ მკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველგვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 ს. პეტრე დიდის ქ. № 26 ტელ. 5—86

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

...ანახმად საქართველოს დემო...კრატიული რესპუბლიკის მთავ...რობისა, სდგება მოხალისეთა ...აზმები, სადაც საქართველოს ...ელა მოქალაქეს შეუძლია ჩა...წერა, მათ გარდა, რომლებიც ეხ...ლ უკვე მსახურებენ საქართვე...ოს ლაშქარში და გარდა ჯ.-კაცთა, ...რომლებიც მოწვეულნი არიან.

...ულ ჯარისკაცად ითვლებიან 1892, 1893, 1894, 1895, 1896, ... და 1898 წლებში დაბადებული ახალგაზრდები.

...არსებობს შემდეგი პირობები: 1—ყველა მოხალისეს, რომელიც ...ა სხვა დაწესებულებებში მსახურებს—ადგილი შეენახება 2. სა...ო მოქმედების შემდეგ ისინი განთავისუფლებული იქნებიან. ...ედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან. ...აზმების შედგენა დავალებული აქვს გენ.-მაიორ მაღალაშვილს ...აიორ ფურცელაძეს; (გიორგი) პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, ბ. ...ველს, დ. ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს.

...აწერა შეიძლება ბარიათინის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში ... დღე დილის 9 საათიდან--14 საათამდე და 16 ს.—18 საათამდე.

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი

...—5 ᲯᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ: **ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო!

მოიხადეთ თქვენი ვალი ჩვენი ერისა და დამოუკიდებლობის **დამცველთა წინაშე.** მათი თავგანწირული ბრძოლის მეოხებით ჩვენს ქალაქებში მშვიდათ მყოფნო. **მიაწოდეთ სულიერი საზრდო ჩვენს გმირებს** ფრონტზე მებრძოლ—რესპუბლიკურ ჯარსა და გვარდიას.

სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების თაოსნობით თბილისის ქუჩებში დადგმულ ყუთებში ჩაუშვით ახალი, ან წაკითხული **ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ,** რომელიც ყოველ-დღე ეგზავნება ჩვენს დამცველთ ფრონტზე. **ეს ხომ ყველას შეუძლია.**

სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციის

თავმჯდომარე სერ. ᲟᲝᲠᲯᲝᲚᲘᲐᲜᲘ.

Ძ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ 27.

ადერბეიჯანი ომის შესახებ. დაშნაკელთა ავანტიურამ ლამის არის ომში ჩაითრიოს კიდევ მესამე რესპუბლიკა. ვინც გაეცნო იმ დებატებს, რომლებიც გაიმართა ადერბეიჯანის პარლამენტში 20 დეკემბერს, ბორჩალოში მომხდარ ამბების შესახებ, დარწმუნდებოდა, თუ როგორის ყურადღებით და გარკვეული სიმპატია-ანტიპატიით ადევნებს თვალყურს ადერბეიჯანი საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ამტყდარ კონფლიქტებს.

ის შეღლი და მტრობა, რომელიც დასთესა სომხებსა და მაჰმადიანებს შორის, ერთის მხრით, თვითმპყრობელურმა რუსეთის ბიუროკრატიამ, ხოლო მეორეს მხრით—ზოგიერთი საზოგადოებრივი ჯგუფების—მათ შორის დაშნაკელთა—ბეცმა პოლიტიკამ, სამწუხაროდ, ჯერ არ განელებულა. შოვინისტურმა წრეებმა ეს სიძულვილისა და მტრობის მხრჩოლავი ატმოსფერა უფრო გააღვივეს. ამიტომ დღეს ყოველ პროვოკაციას, ყოველ მოუფიქრებელსა და უტაქტო ზოგებს და ნაბიჯებს შეუძლიათ ჰპოვონ პოხიერი ნიადაგი ამ ატმოსფერაში. ეს დამტკიცდა ბაქოში, მაგრამ იმის ძაგიერ, რომ ამ გარემოებას სათანადო ანგარიში გაუწიოს, დაშნაკცუტიუნის მთავრობა განაგრძობს აგრესიულ პოლიტიკას არა მარტო საქართველოს წინააღმდეგ, არამედ ადერბეიჯანის წინააღმდეგაც, რასაც მოწმობს ყაზახში სომხების რაზმების მოღვაწეობა. ასეთი პოლიტიკა კიდევ უფრო აძლიერებს მუსულმანებში სომხებისადმი მტრულ პოზიციასა და განწყობილებას.

ადერბეიჯანის პარლამენტის მკაფიო ანტი-სომხური განწყობილება, ის ფაქტი, რომ სოციალ-დემოკრატი და მუსავატელი ერთი ენით ალაპარაკდენ—ღრმად დამაფიქრებელი მოვლენაა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამა თუ იმ სახით შესაძლებელია ადერბეიჯანმაც ომში მონაწილეობა მიიღოს, რაც მრავალჯერ უფრო საშინელი და საბედისწერო იქნება, ვიდრე ის ომი, რომელიც დღეს საქართველოსა და სომხეთისრ ესპუბლიკას შორის სწარმოებს. საერთაშორისო კონიუნქტურის შეცვლის გამო შეიძლება ადერბეიჯანი ოფიციალურად ომში არ ჩაერიოს, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს გარანტია, რომ დაშნაკელთა ბანდების თარეში არ ჰპოვებს აქტიურსა და საპასუხო გამოძახილს მუსულმანთა მასებში... ადერბეიჯანში ნერვიული განწყობილებაა. კატასტროფის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერევნის მთავრობა დაწყებულ ავანტიურაზე ხელს აიღებს და სადავო საკითხების გადაჭრას მშვიდობიანი გზით მოისურვებს.

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ.

სანამ მსოფლიო ფედერაცია არ შექმნილა, სანამ კაცობრიობა დაყოფილია პოლიტიკურ, ეკონომიურ თუ სხვა სეპარატიულ ერთეულებათ—„მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება" სანატრელი და საოცნებო საგანი იქნება. შესაძლოა დროებით ჩამოვარდეს მყუდროება და კაცობრიობა მიეცეს კულტურ წარმოებას, მაგრამ ასეთი გარეგნული მყუდროება ყოველთვის ამზადებს და ანვითარებს თავის წიაღში მომავალ ქარიშხალის ელემენტებს. ამიტომაც არის, რომ ჩვენ, სოციალისტები, სამარადისო მშვიდობიანობის აუცილებელ პირობათ ცხოვრების ძირითად გარდაქმნას ვსახავთ. ჩვენი პატარა სამშობლოც, რასაკვირველია, სავსებით ემორჩილება საერთო კანონს, მისი მდგომარეობა არსებულ პირობებში არ არის უზრუნველყოფილი. ჩვენ ბევრი მხრიდან მოგველის საფრთხე. ჩვენი ძალღონე უნდა იყოს იქითკენ მიმართული, რომ ამ საფრთხემ ჩვენ ეროვნულ თავისებურებას არ ავნოს. აქედან გამომდინარეობს ელასტიურ პოლიტიკის საჭიროება. ამით მე არ ვამბობ, რომ ჩვენ უნდა დავკარგოთ პრინციპები და ოპორტიუნიზმის გზას დავადგეთ. არა. პოლიტიკის ელასტიობა ჩვენ გვესმის, როგორც უაღრესათ განსჭვრეტა მოვლენების და სათანადოთ მოქმედება.

წინეთ, როდესაც გერმანელებს ჩვენ აქ უხმობდით, სულ სხვა მდგომარეობა იყო, როგორც საგარეო ისე საშინაო. დღეს სულ სხვაა. მაშინ ჩვენი პოლიტიკა უმთავრესათ გერმანელებთან შეთანხმებაზე შენდებოდა. გერმანელებმა ბევრი რამ გვიკარნახეს ჩვენ. უმეტესი ნაწილი ამ ნაკარნახევისა ჩვენ იძულებული ვიყავით შეგვესრულებია. დღეს სულ სხვა ძალა მოვიდა ჩვენში და ის ლამობს თავის ნება მოგვახვიოს თავს. მოქმედებენ თუ არა ჩვენი ახალი სტუმრები, ინგლისელები, ცენტრიდან მიღებულ დირექტივებით? ვგონებთ, რომ არა. პროვინციალი, ლოკალური, პოლიტიკა კი შესაძლოა არ ეგუებოდეს საერთო გეგმას ცენტრში გამომუშავებულს. შესაძლოა ინგლისის მმართველი წრეები სულ სხვა წარმოდგენის იყვენ ჩვენზე და სხვა გზას ადგენ ჩვენთან დამოკიდებულებაში, ვინემ ჩამოსულები. ამიტომ აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია ცენტრთან დავიკავოთ პირდაპირი კავშირი და მათთან ვიქონიოთ მოლაპარაკება ჩვენი მდგომარეობის შესახებ. შემცდარი ნაბიჯები ჩამოსულ ინგლისელების პრეტენზიების მიხედვით საქმეს ავნებს, რადგან შემცდარი პრაქტიკული ნაბიჯის გამოსწორება არ არის იოლი. ინგლისის ინტერესები სულაც არ მოითხოვს ეხლა შეტევითი პოლიტიკის წარმოებას. გერმანიის იმპერიალიზმის დამარცხებით მას ჩამოსცილდა ძლიერი კონკურენტი საერთაშორისო ბაზარზე. ინგლისს ეხლაც შეუძლია თავისუფალი ვაჭრობის და სახელმწიფოთა განიარაღების ლოზუნგი გადმოისროლოს. ამის მსგავს ჩვენ უკვე ვხედავთ. გამარჯვებული და ძლიერი კაპიტალი ყოველთვის ლიბერალიზმის გზას ადგებოდა. რასაკვირველია, ეს ლიბერალიზმი არ ყოფილა გამოწვეული ჰუმანიური მიზნებით, მისი სარჩული უაღრესათ ეგოისტური იყო. როდესაც კაპიტალს თავისუფალი კონკურენციით შეუძლია დაამარცხოს მოპირდაპირე კაპიტალი, ის მომხრეა თავისუფალი შეჯიბრებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში თვისი ბატონობის განსამტკიცებლათ ის ფიზიკურ ძალას მიმართავს.

ინგლისის კაპიტალი დღეს, როგორც ვსთქით, გამარჯვებულია და მას უიარაღოთ შეუძლია იბატონოს. რასაკვირველია კონკურენტები მას კიდევ ყავს. თვით მისი მოკავშირე ამერიკის კაპიტალი და აგრეთვე იაპონიის, მაგრამ ამათი შეტაკება მომავლის საქმეა და მაზე ჩვენ ეხლა არ შევჩერდებით. ამ წერილში ჩვენ ხაზი გვინდოდა გაგვესვა იმ გარემოებიზა, რომ ინგლისელების დღევანდელი ინტერესი არ მოითხოვს ჩვენში ტლანქი პოლიტიკის გზას დაადგენ და თუ ასეთ ტლანქ ნაბიჯებს ექნება მათის მხრივ ალაგი, ჩვენ დიდათ გამჭრიახობა გვმართებს, სუბიექტიური მოქმედება ინგლისელ ამა თუ იმ სამხედრო პირისა ინგლისის საერთო პოლიტიკათ არ მივიღოთ და ამით შემცდარი შეუფერებელი ნაბიჯები არ გადავდგათ.

მოვლენის გაუგებრათ და დაუფასებლათ, როგორც უკან დახევა და დათმობა, ისე შეტევა მავნებელია. საჭიროა მდგომარეობის გამორკვევა და შესაძლო იქნება გარკვეულ გზაზეც დადგომა ჩვენში ინგლისელები შეიარაღებული დადიან. ჩვენ ისინი არ მოგვიწვევია. რას ნიშნავს მათი ასეთი საქციელი? ამ გარემოებას ხალხში არევ-დარევა შეაქვს. საჭიროა მდგომარეობის გამორკვევა.

ᲓᲘᲚᲘᲐᲜᲘ.

სახელმწიფო კანტროლისათვის.

ნორჩ სახელმწიფოსათვის, როგორც ვიცით, ერთ უდიდეს და უძნელეს საკითხს შეადგენს ფინანსიური საკითხი. ამ საკითხის შესაფერისად მოგვარებისაგან ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ჯანმრთელობა, მისი მუშაობის ნაყოფიერობა.

სახელმწიფოს ბიუჯეტის შედგენა, რაციონალურ-ეკონომიური სისტემის შექმნა და სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალს შორის საჭირო წონასწორობის დაცვა ევალება საფინანსო უწყებას, მაგრამ სახელმწიფო კანტროლს, რომლის დანიშნულებას შეადგენს გამორკვევა იმ საკითხის, თუ რამდენად სწორად და საჭიროებისამებრ იხარჯება სახელმწიფოს თანხა, შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს, როგორც საფინანსო უწყებას, ისე მთელს სახელმწიფოს. პატარა სახელმწიფო, რომლის ფინანსიური და ეკონომიური რესურსები განსაზღვრულია, უაღრესად დაინტერესებულია თავის მცირე თანხის მიზან-შეწონილად დახარჯვაში, ვინაიდან აშკარაა პატარა სახელმწიფოს ხაზინას არ შეუძლია აიტანოს, როგორც ზედმეტი ხარჯები, ისე სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებანი, რომლებიც შესაძლებელია ამ სფეროში.

სახელმწიფო კანტროლის მოვალეობაა ფხიზლად იდგეს სახელმწიფოს ფინანსიურ-ეკონომიურ ინტერესების სადარაჯოზე.

გაზეთებში თუ საზოგადოებაში სხვა და სხვა დაწესებულებათა შესახებ ათასგვარი ხმები დადის. მრავალ უწყებებში ხდება ბევრი რამ ისეთი, რაც მითქმა-მოთქმასა და იჭვებს იწვევს. რას აკეთებს ამ დროს სახელმწიფო კანტროლიორი? თითქმის არაფერს!

ჩვენ ვერ ვხედავთ იმ ულმობელ ხელსა და მიუდგომელ თვალს, რომელსაც უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო კანტროლიორი რესპუბლიკაში.

ბოროტ-მოქმედება სახელმწიფოს ფინანსების დახარჯვაში, თუ სხვა და სხვა ეკონომიურ სიმდიდრეთა გამოყენება-ექსპლუატაციაში, უნდა იყოს სახელმწიფო კანტროლის ყურადღების მთავარი ობიექტი. საჭიროა მრავალ დაწესებულებათა სასტიკი რევიზია, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ჩვენ ვერ ვხედავთ. სახელმწიფო კანტროლი თითქმის არც კი არსებობს. სხვა და სხვა დაწესებულებებში ფინანსიურ ბოროტ-მოქმედებას აქვს არა მარტო ეკონომიური მნიშვნელობა, არა მარტო იმ მხრით, რომ ძირი ეთხრება სახელმწიფოს ერთ უმთავრეს საფუძველს —ეკონომიურ ძლიერებას,—არამედ მას აქვს აგრეთვე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ახალი რეჟიმის განმტკიცება შეუძლებელია, თუ დაწესებულებებში ისევ ძველებურად ხდება ბოროტ-მოქმედება და თუ ეს დაუსჯელი და შეუმჩნეველი რჩება.

სახელმწიფო კანტროლიორმა, როგორც ამბობენ, დაიწყო სასურსათო უწყების რევიზია, მაგრამ აგერ რამდენიმე თვეა, რაც რევიზიის მუშაობის არაფერი ისმის.

როგორც ბოროტი ენები ამბობენ, სახელმწიფო კანტროლიორს კიდეც ერიდება თუ ეშინია ზოგიერთ დაწესებულებათა და უწყებათა რევიზიის. ყოველ შემთხვევაში მას არ ემჩნევა ის გამბედაობა, რომელიც აქ აუცილებლად საჭიროა. როგორც გადმოგვცემენ, საქართველოს პარლამენტმა ამ დღეებში უნდა დანიშნოს კანტროლიორის თანაშემწე. შეიძლება ამის შემდეგ მაინც გამოიჩინოს სახელმწიფო კანტროლიორმა საჭირო ფხა და უნარი. ვნახოთ!

სანი.

ახალი ამბავი.

დეპეშა გორიდან. სოფელ ვაყის მცხოვრები სომხები ზიზღს უცხადებენ მშრომელი ხალხის მტრებს დაშნაკელებს და მის მთავრობას, რომლებსაც ეროვნული ლოზუნგით სწყურიათ სისხლში ჩააღრჩონ საქართველო. სრულ ნდობას ვუცხადებთ საქ. მთავრობას და გთხოვთ მოგვიხმაროთ ყოველივე საქმეში, რაიც სასარგებლო იქნება დამოუკიდებლობის განსამტკიცებლათ და მოპოებულ თავისუფლების შესანარჩუნებლათ. ყველანი მზათა ვართ შევწიროთ თავი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის კეთილდღეობას.

კრების მოხდობილ. მარეარა კითარიდი.

⊖ **საქალაქო არჩევნები.** რადგანაც 1919 წლის 1 იანვარს თავდება ქალაქის საბჭოთა ხმოსნების რწმუნებულების ვადა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა ქალაქის თვითმართველობას შეუდგენ ახალი ხმოსნების არჩევნებს 24 დეკემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ს № 125 გამოქვეყნებულ „ქალაქის თვითმართველობის ხმოსნების არჩევნების კანონის“ თანახმათ.

⊖ **ეკლესიის გაძარცვა.** 23 დეკ. შუადღის 2 საათზე ბოროტ-მოქმედებმა გასტეხეს ამაღლების ეკლესია ამაღლების ქუჩაზე და გაიტაცეს სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები ღირებული 10,000 მან. მესამე კომისარიატის მილიციონერმა პეტროვმა აღმოაჩინა ბოროტმოქმედი არუთუნიანცი, რომელმაც ვაქცევა დააპირა, მაგრამ იგი დასჭრეს ფეხში. ნივთები აღმოაჩინეს.

⊖ **მობილიზაციის ლეჩხუმში.** ლეჩხუმში მობილიზაცია კარგათ ჩატარდა. ვადაგენთ სვანეთისა და ლეჩხუმლების რაზმს. ხალხი მზათ არის მთავრობის დასახმარებლათ.

რუბენ ფიფიანი.

⊖ **დეპეშა ოზურგეთიდან.** დიდი ჯუნძულის მცხოვრებნი ალბალიკებით ეგებებიან მთავრობის გადაწყვეტილებას იარაღით დასაჯოს ერეკლის ავანტიურისტები და მით გზა გაუკეთოს საქართველოს და სომხეთის დემოკრატიას დოის ვერაგულად დაროვეული მეგობრობის აოსადგენათ ჩვენ ჩვენს მთავრობასთან ვართ. ვეწამს დემოკრატიის მომავალი და ულანასკნელ სულის ამოძთქმამდე ვიბრძოლებთ მისთვის.

⊖ **ოში.** შულავერის და დაგეტხანინის რაიონში გუშინდელიდან მტერთან ბრძოლა აქვს ჩვენს ჯარს. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

⊖ **დეპეშა ლეხინვალიდან.** ლეხინვალის რაიონის სოფლების წარმომადგენელების კრება დიდათ სწუხს თავის ერის საუკეთესო შვილის სანდრო მაისურაძის დაღუპვის გამო, პატივს სცემს მის არაჩვეულებრივ გმირობას და მოუწოდებს საქართველოს დამცველთ ამ გვარ გმირობისაკენ.

⊖ **სასწავლებლების საყურადღებოთ.** მეომართა დამხმარე კომიტეტი ამით აცხადებს, რომ პარასკევს 27 დეკ. ყველა სასწავლებლებში ჩამოვლიან არჩეული პირნი სათანადო მანდატებით, რომელთაც უნდა მიიღონ განათლების სამინისტროს წინადადებით შეგროვილი შემოწირულებანი.

⊖ **კუფიცვა.** ბაქოში მუშებმა გაიფიცენ ზოგიერთ ამხანაგების დაპატიმრების გამო.

ყაჩაღის დატუსაღება. თბილისის ქალაქის მილიციის უფროსს აცნობეს, რომ პეტრე დიდის ქუჩაზე № 8 სახლში იმალება საგუბერნიო ციხიდან გაქცეული ცნობილი ყაჩაღი დავითაია; მილიციის უფროსის ბრძანებით დაუპატიმრეს დავითაია და სახლის პატრონი გეგეჭკორი, რომელიც ციხეში გაგზავნეს.

⊖ **გენ. გუბერნატორმა** განმარტა, რომ თბილისის ქალ. საბჭოს სომეხ წევრთა დაპატიმრებას არავითარი კავშირი არა აქვს მათ მოქმედებასთან ქალაქის თვითმართველობაში.

⊖ **ძარცვა.** 24 დეკემ., ახალციხის შესახვევში, ა. აზარიევის სახლში, № 12, ხუთი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი შეიჭრენ და 5000 მანეთის სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები წაიღეს.

⊖ **შემოწირულობა.** ომში დაღუპულ სახალხო გვარდიელებმა უეჭველია დასტოვეს ბავშვები, რომელთაც სრული უფლება აქვსთ მოითხოვონ საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან აღზრდა და განათლება, ამისათვის მათ სასარგებლოდ ვიღებ ჩემს წვლილს 1000 მან. ფულს და მთელი შემოსავალს ჩემი სახელმძღვანელოსას „ანატომია და ფიზიოლოგია ადამიანისა“.

მეოთხე გიმნაზიის დირექტორი. მ. ყ. ზაალიშვილი.

○ **დაქცევა.** დღეს 27 დეკემბერს საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) კ. ქავთარაძისა—ისტორია, 2) ალ. ჟორჟოლიანისა—ფსიქოლოგია.

⊖ **მოწოდება.** მოქალაქენო! შეიგნეთ თქვენი წმიდა მოვალეობა სამშობლოსადმი. მუხანათი მტერი კარზეა მომდგარი. ვისაც გახარებთ სამშობლოს თავისუფლება, ამაყობთ მისი წარსულით და ეტრფით მის ბრწყინვალე მომავალს, ჩაეწერეთ მეორე მოხალისეთა რაზმში. ჩვენი დევიზია: „ან სიკვდილი ან გამარჯვება“. მისამართი: ქართული კლუბი, „ჯარი და ერის რედაქცია“.

აქვ. ანდრაძე.

⊖ **ქურდობა.** 26 დეკ. ღამე არუტინოვის ტანსაცმლების სავაჭროდან ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, ბოროტ-განზრახველებმა 60,000 მან. და სხვა საქონელი წაიღეს.

○ **ტელეგრაფის მავთული** თბილისიდან ბაქომდის გაფუჭებულია.

⊖ **თბილისის რადიომ** დაიჭირა რადიოგრამა მოსკოვიდან - ასტრახანში ჩვენამდის მოსული ცნობებით საქართველოში საბჭოთა მთავრობა აღდგენილია. გთხოვთ გამოელაპარაკოთ რადიოს საშვალებით საქართველოში და რაც შეიძლება ჩქარა გვაცნობოთ ამის შესახებ.

სკვარჩოფსკი.

○ **ახალ ქალაქიდან** ჩამოსულთა სიტყვით დუხობორები დიდ დახმარებას უწევენ ჩვენს ჯარს.

○ **ზაზანის დაპატიმრება.** ხაშურის მილიციის უფროსმა ქალაქ გორში, სომხებში საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციისათვის, საქართველოს პარლამენტის წევრი ზორიანი (დაშნაკცაკანი) დააპატიმრა.

○ **ძარცვა.** 25 დეკ. საღამოს 8 საათზე გ. კ. მამუკაშვილის საგალანტერეინო სავაჭროში (ეროვნის ქუჩა № 15) შეიჭრა რამდენიმე შეიარაღებული პირი და წაიღეს 7,000 მან. ფული, ორი პალტო და სხვა ნივთები ღირებული 16,000 მანეთამდე.

○ **სახალხო გვარდიის მოვე

სანამ დაიწყებოდეს კამათი ამხ. ლ. შენგელაიას მოხსენების გარშემო, სამანდატო კომისიის წარმომადგენელი ამხ. გ. მამამთავრიშვილი აცნობს სხდომას, რომ შემოვიდა ორი მანდატი თბილისის მუსულმანთა ესერების კოლექტივისაგან; თანახმად ამხ. ლ. შენგელაიას წინადადებისა ყრილობამ დაადგინა დაშვებული იქნას ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით, ხოლო მეორე სათათბიროთი.

ამის შემდეგ რიგს გარეშე სიტყვას ღებულობს მუსულმანთა კოლექტივის წარმომადგენელი ამხ. **სალმან-გუსეინ-ზედე-იბრაიმოვი** და ამბობს: „ამხანაგებო, ნება მიბოძეთ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მუსულმანთა ახალგაზდა ორგანიზაციის სახელით მოგესალმოთ თქვენ. ჩვენი ორგანიზაცია, ჯერ ახალი, იმედი მაქვს მალე გაძლიერდება, შემოიკრებს თავის გარშემო მუსულმანთა მშრომელ მასას, და ისიც გათვითცნობიერებული ძმურად ხელს გაუწვდის საქართველოში მოსახლე ყველა მშრომელთ. სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ჩასახვა და ზრდა მუსულმანთა შორის, მისი განვითარება ამის საუკეთესო თავმდებია (ძლიერი აპლოდისმენტები)...

იმართება ამხ. ლ. შენგელაიას მოხსენების გარშემო კამათი.

ამხ. **ალექ. კაკაბაძე** აღნიშნავს, რომ მოხსენებელი დიდხანს შეჩერდება წვრილმანებზე, რაც არ იყო საჭირო, რომ რევოლიუცია ჩვენს შეხედულებით ჯერ არ დამთავრებულა, რომ ამხ. მოხსენებელმა ხაზი გაუსვა, თუ რაოდენი მუხლები პროგრამისა იყო ზედმეტი, მაგრამ სამაგიეროდ მას თვითონ არაფერი წარმოუდგენია და ბოლოს ამბობს:

არ არის სწორი მოხსენების აზრი, თითქოს ხორბლის კულტურის ადგილები უფრო ეკუთვნოდეს სოციალიზაციის პრინციპებს; არა, ჩვენ ინტენსიური მუშაობა თუ ვაწარმოეთ, ყველკან უზრუნველყოფთ ჩვენ ზრდასა და გამარჯვებას; მხოლოდ ერთი რამ კი არის საჭირო: მოხსენებელმა აღნიშნა და სამართლიანად, რომ საჭიროა პროგრამის კონკრეტიზაცია და დეტალიზაცია ადგილობრივ პირობების მიხედვით, და ამ მხრივ კარგი იქნებოდა, რომ მოხსენებელს წარმოედგინა ყრილობისათვის პროექტი ფრაქციის მიერ საამისოდ საგანგებოდ შემუშავებული.

ამხ. **აპოლ. კაკაბაძე** ამბობს: სავსებით მისაღებია აზრი მოხსენებლისა, რომელიც მოითხოვს პროგრამის ცხოვრებასთან შეჯერებას, მაგრამ ყველაფერში მოხსენებლის აზრს ვერ გავიზიარებთ; ის მაგალითად ხაზს უსვამს იმ გარეგოებას, რომ პროგრამაზე ორგანიული თეორიის ზედგავლენის ნასახიც უნდა მოისპოსო, მაშინ როდესაც ეს თეორია თანდათანობით მეტს გასავალს პოულობს. მოხსენებელი ამბობდა, რომ შტამლერის სოციალური მონიზმი სწორი რომ იყოს, მაშინ ყოველი დარგი საზოგადოებრივი ცხოვრებისა თანაბრად უნდა ვითარდებოდეს და იმას კი ივიწყებდა, რომ ყველა ელემენტები ერთსა და იმავე პირობებში არ იმყოფებიან და ცხადია მათ არც მოეთხოვება თანაბრად განვითარება.

დანარჩენს რაც შეეხება სავსებით მისაღებია მოხსენებლის აზრი აგრარულსა და მუშათა საკითხების შესახებ; სამართლიანია აგრეთვე მისი მოთხოვნა, რომ მუნიციპალურს პოლიტიკას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. ჩვენ უნდა მტკიცედ გვახსოვდეს, თუ რა უპირატესობას წარმოადგენს დეცენტრალისტურად აგებული მმართველობა ცენტრალისტურის წინაშე. და ამ მხრივ ჩვენი მიზანი უნდა იყოს მმართველობის სიმძიმის ცენტრიდან პერიფერიებში გადატანა.

ამხ. **ვსევოლ. კაპანაძე**: პროგრამა მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლმხედველობასთან; უკანასკნელი არის ის ბაზისი, რომელზედაც ემყარება პროგრამული პუნქტები, და არ შეიძლება უკანასკნელის რაიმე პუნქტში ცვლილების შეტანა, თუ არ შეიცვალა სათანადოთ თვით ეს ბაზისი. მე მეგონა, რომ მოხსენებელი კოლექტივებს შეიტანდა თვით მსოფლმხედველობაში და აქედან ლოგიკურ დასკვნებს გააკეთებდა. ეს მოხსენებელს არ უქნია. ეს საერთოთ.

რაც შეეხება მოხსენებლის კერძო დებულებებს, მის მიერ გამოთქმულ აზრებს, აქაც ყველაფერს ვერ დავეთანხმებით; აი მაგალითად მან სთქვა: „ბაკუნინი მარქსისტი იყო“—ეს არ არის მართალი, ვინაიდან ბაკუნინი მარქსისტი კი არა, მხოლოდ მატერიალისტი იყო; და არც ის შეეფერება სინამდვილეს, თითქო 80 წლებში რუსეთში გაბატონებული ყოფილიყოს მარქსიზმი; ამ ხანებში, მართალია, სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა მარქსიზმსა და ნაროდნიკობას შორის, მაგრამ ეს იყო ბრძოლა არა ორი მეცნიერულ მსოფლ-მხედველობათა, არა, აქ მარქსისტული მეტაფიზიკა ებრძოდა ნაროდნიკულ პოზიტივიზმს და რამდენად ისტორიულ-ფილოსოფიურ საკითხების გარშემო ტრიალებდა ეს კამათი, უნდა ვთქვათ, რომ ნაროდნიკობას სრული გამარჯვება ერგო. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს მარქსიზმში ჩვენთვის ყველაფერი მიღებული იყოს. პირიქით, ჩვენ უარვყოფთ მარქსის ისტორიულ ფილოსოფიას, ისტორიის მის მიერ გაგებას, მაგრამ იმავე დროს ჩვენ მისი ეკონომიური მოძღვრება მისაღებად მიგვაჩნია და ამ მხრივ თუ მარქსიზმის გავლენა ემჩნევა ჩვენს პროგრამას, ეს სასაყვედურო არ არის.

აქ ფუნქციონალურ ურთიერთობებზე მსჯელობდენ; ეს მცნება არის გადმოღებული მათემატიკიდან და როდესაც ჩერნოვი მის გამოყენებას ცდილობს ისტორიული პროცესის გაგების დროს, ის ამით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შეიძლება **მოვლენების** შესწავლა და არა სუბსტანციების ძიება. ხოლო „ფაქტორების“ პრიმატზე უნდა ვსთქვათ, რომ ისტორიის სივრცეზე ზოგს ეპოქაში შეიძლება სჭარბობდეს იდეოლოგია, ზოგში ეკონომიკა, ზოგში უფლება და სხვა. თვით ისტორიული პროცესი კი წარმოადგენს ერთს მთელს, რომლის ამა თუ იმ მხარეს წარმოადგენს ეკონომიკა, იდეოლოგია, უფლება, ეს არის სინთეტიური მონიზმი, ერთად ერთი სწორი შეხედულება ისტორიულ პროცესის რაობაზე...

მოხსენებელი ამბობდა, რომ დღევანდელ პირობების სწორ შეფასებას შეუძლია ჩვენ მხოლოთ მარცხნივ გადავეხაროსო, მაშინ როდესაც მის მიერ წამოყენებული კონკრეტიული ზომები უფრო მარჯვნივ გადახრის მაჩვენებელია, ვინემ მარცხნივ. მაგალითად, როცა მოხსენებელი მიწის სოციალიზაციის ცხოვრებაში გატარების პირობებზე მსჯელობს ის კომპრომისებს უშვებს სინამდვილესთან; მიწის სოციალიზაცია გამომდინარეობს ჩვენი შეხედულებიდან პიროვნებაზე, და ამ შემთხვევაში **თუნდაც მცირედი შეცვლა** პროგრამული მოთხოვნილებისა, მცირედი კომპრომისი (უკანასკნელს თვით ცხოვრება მოგვცემს) ჩვენის მხრით დაუშვებელია. ჩვენ გვაქვს განსაზღვრული იდეალი და მით უნდა ვიხელმძღვანელოთ ყოველი პრაკტიკული ნაბიჯის გადადგმის დროს, და ცხადია, აქ არავითარ კომპრომისს ადგილი არ უნდა ექნეს..

ბოლშევიკების ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

დვინსკი, 23 დეკ. ვილნოს საბჭომ თავის თავი სრულუფლებიან მთავრობათ გამოაცხადა. მისი ბრძანებანი, განკარგულებანი და დანიშვნანანი სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის.

ნაუენი. 25 დეკემბ. ბელგიის პალატამ სამხედრო კანონ-პროექტი მიიღო რომ ბელგიაში (ახალშენების გარდა) უნდა იყოს მშვიდობიანობის დროს 100,000 კაცისგან შემდგარი ჯარი, ომის დროს კი 350,000 კაცისგან.

ბუდაპეშტი, 18 დეკემ. რუმინიის ჯარმა გადალახა მდინარე მარონი, რომელიც დემარკაციულ ხაზათ ითვლებოდა და შეებრძოლა ჰუნგრეთის ჯარს. ჰუნგრეთის მთავრობამ უბრძანა ჯარსუკან დახეულიყო. მთავრობა პროტესტს აცხადებს დროებითი ზავის დარღვევის გამო

პრაგა, 18 დეკემ. ჩეხელ სოც. დემოკრატებმა პროტესტი განაცხადეს სერბიის იმპერიალისტების პოლიტიკაზე, ბოგემიის გერმანელთა მიმართ.

ბერლინი. 18 დეკემბერი, დამოუკიდებელთა პარტიამ დაადგინა არ იმუშავოს მემარჯვენე სოციალისტებთან ერთად.

საზღვარგარეთ

საქართვ. დეპ. სააგ.

ფრანგული პრესა. 24 დეკემბერი, გერმანიიდან უკანასკნელ დღეებში მიღებული რადიო დეპეშები ირწმუნებიან, რომ დამარცხებას ჯერ ვერაფერი უსწავლებია გერმანიის ხელმძღვანელ წრეებისათვის რამოდენიმე კვირის შედარებით სიწყნარის შემდეგ ნაუენიდან მოსული რადიო დეპეშები უფრო მეტის წინდაუხედაობით, ვიდრე როდისმე, შეიცავენ ომის ძველ იმპერიალისტურ თეზისებს.

იტალიის მეფემ საფრანგეთის პრეზიდენტს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია მადლობა იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც მისდამი გამოიჩინეს საფრანგეთში უკანასკნელათ ყოფნისა და მოგზაურობის დროს. დიდათ საინტერესო იყო ჩემთვის ის დღეები, რომელიც გავატარე პარიზში, სადაც ნათლათ ვიგრძენი, რომ ორი ნათესაური ერი ერთი გრძნობით არის გამსჭვალული. დიდი სიამოვნება ვიგრძენი აგრეთვე ომისგან განადგურებულ ფრანგულ ოლქებში სადაც საფრანგეთი უკანასკნელ ოლნის ძიებამდე ცდილობდა გამკლავებოდა მტრის შეტევას. დიდი სიახარულით შევსცქეროდი ჩვენს საერთო გამარჯვებას და საუკეთესო ხსოვნა დარჩა ჩემში იმ დღეებისა, როცა სულ ახლო ვიგრძენ გმირულ საფრანგეთის ძმური გულის ცემა.

„პტი-პარიზიენის“ თანამშრომელმა ინახულა გერმანიის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი, ომის პასუხისმგებლობის საბუთების განმხილველი, და შემდეგი პასუხი მიიღო: ერთი თვის შემდეგ გამოქვეყნდება საბუთების პირველი ნაწილი. იმავე დროს ავსტრიის მთავრობა გამოაქვეყნებს ბალიპლატში (?) ნაპოვნ საბუთებს. მე არ შემიძლია არავითარი განსაზღვრული დასკვნა გავაკეთო, მაგრამ საბუთები ამტკიცებენ, რომ კრუპის ქარხნის ყოფილი დირექტორის დ-რ მიურნის და პრინც ლიხნოვსკის მოსაზრება გამართლდა. ომის დაწყებაში და მის წარმოებაში შემდეგ წრეებს სდებენ ბრალს: კაიზერს, კრონპრინცს, ლიუდენდორფს, ტირპიცს, მრეწველებს და პანგერმანელებს.

ინგლისური პრესა, 24 დეკემბერი. უკრაინაში მყოფ ინგლისელ ჯარებთან საფოსტო კავშირი შესწყდა.

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ ბერნში გახსნილ საერთო კრებაზე 22 დეკემბერს პარტიის თავმჯდომარეთ აირჩია გუსტავ მიულლერი.

მასარიკი პრაგაში ჩამოვიდა. ის ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკის პრეზიდენტათ აირჩიეს.

სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობის პარტიამ გამოაქვეყნა დამფუძნებელ კრების კანდიდატთა წინასწარი საარჩევნო სია. სიაში შეტანილია 2 ქალი, ებერტი, გეტმან რობერტი შმიდტი, პვანკუხი, პაველ გირმი, ჰედმანი და რუდოლფ კოგენი.

ლიბავიდან დანციგში ჩამოსულმა სატრანსპორტო გემებმა ჩამოიყვანეს 60 გერმანელ მემამულეს ოჯახი რომელნიც ბალტიის მხრიდან რუსის ბოლშევიკებს გამოქცევიან და თავისი ქონება ღვთის ანაბარათ მიუტოვებიათ.

„ფრანკფურტერ ცაიტენგ“ ის კორესპონდენტი ვენიდან იუწყება რომ ჰუნგრეთის „განძათავის უფლებელ მაკენზენის დაკავება მიეწერება კაროლიის პირად ინიციატივას რის გამოც ჰუნგრელნი აღშფოთებულნი არიან მის წინააღმდეგ. კაროლიის შეეძლო გაებეხილებინა მაკენზენი ბუდაპეშტში შესვლამდე, მაგრამ ის ასე არ მოიქცა და თავის მეგობარ ფრანგებს ხლეთ ჩაუგდო.

პოლონელების და ჩეხების შუა დადებული შეთანხმება იმ ოლქების შესახებ, რომლებითაც ორივე მხარედან დაინტერესებული, დიდმნიშვნელოვანია და სილეზიის გარდა სხვა ოლქებსაც შეეხება, აღმოსავლეთ საქსონიაში ვენის მცხოვრებთა შორის ჩეხელმა სასარგებლოთ დიდი პროპაგანდა სწარმოებს და სამხრეთ აღმოსავლეთ საზღვარზე თავს უყრიან ჩეხელთა ჯარებს, რაც შიშს იწვევს მცხოვრებთა შორის. ფრანგ-ოფიცრების ზედამხედველობით აგროვებენ ჩეხელთა დიდ ჯარს სხვადასხვა სამხედრო მასალით, ხოლო რეიზენბერგსა და ბოჰემიაში თავს უყრიან ჩეხელ რკინის გზის მოსამსახურეებს. ეს ფაქტები, რომელიც მწვავდება იქ მყოფ ფრანგ ოფიცრების საქციელით, შეიძლება ისე აიხსნას, რომ საქსონიის ნაწილის ოკუპაცია უკვე მომხდარია.

22 დეკემ. ბერლინი. დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელ სურათს წარმოადგენდა.

გერმანიის ბევრ ნაწილში ორივე მიმართულების სოც.-დემ. შეთანხმდენ და მიუხედავათ იმისა, რომ ცალკე საარჩევნო სიები გამოუშვეს, გაერთიანებას ცდილობენ.

გერმანიის რკინის გზის კავშირის სახელმწიფო კონფერენციამ პროტესტი განაცხადა ცენტრის პარტიის სეპარატისტულ გამოსვლებისა და დასავლეთ და აღმოსავლეთ პოლონელთა წინააღმდეგ.

პარტიული ცხოვრება.

სამშაბათს, საღამოს 5 საათზე ავლაბრის კლუბში მოხდა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ავლაბრის მუშათა კოლექტივის წევრთა საერთო კრება.

განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) თანამედროვე მომენტი და 2) საორგანიზაციო საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ ვ-ილი და შინაარსიანი მოხსენება [illegible] ამხ. [illegible] ნებელი შეეხო საქართველოს თანამედროვე ვითარებას, [illegible] შინაური მდგომარეობა. როგორც მეტათ ხელსაყრელი [illegible] ალურ გარდაქმნისათვის და არა ხელსაყრელი საგარეო, საერთაშორისო პირობები, სადაც ერთი მეორესთან სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ მსოფლიო რევოლიუცია და მსოფლიო რეაქცია. პირველ შემთხვევაში ამხ. საჭიროთ მიაჩნია შეუპოვარი იდეური ბრძოლის წარმოება იმ წრეებთან, რომლებიც გათავებულათ სთვლიან რევოლიუციას და სურთ ბურჟუაზიულ ფორმებში გაყინონ საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრება. მეორე ჩემთხვევაში მოხსენებელს უცილებლათ მიაჩნია თანამშრომლობა იმ სოც. პარტიებთან, რომლებიც იცავენ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას.

შემდეგ ამხ. ეხება საქართველო-სომხეთს შორის ამტყდარ ომს და სავსებით ახასიათებს ამ ომის გამოწვევ მიზეზებს. ის არკვევს დაშნაკცაკანთა პარტიის სომხის ერისათვის დამღუპველ როლს. საერთოდ, და კერძოთ ახასიათებს დაშნაკცელთა პოლიტიკას ეხლანდელ ომში. ამხ. ამბობს, რომ ორ მოძმე ხალხთა შორის ამტყდარი ომი დამღუპველია ორივე ერისათვის და ერთად ერთ გამოსავალ გზათ მიაჩნია მორიგებით გადაწყვეტა ყველა სადავო საკითხებისა.

კრებამ გულდასმით მოისმინა ამხ. ლეო შენგელაიას მოხსენება და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ის.

ამავე საკითხზე ილაპარაკა აგრეთვე ამხ. გრ. მამამთავრიშვილმა.

2. საორგანიზაციო საკითხის შესახებ ილაპარაკა ამხ. აპ. კაკაბაძემ, რომელმაც მოუწოდა ამხ. მუშაობა გაცხოველებისაკენ და წინადადება მისცა კრებას აერჩიათ დროებით ხელმძღვანელი კომიტეტის ნაცვლად ახალი კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგება პარტიულ უშაობას ავლაბარში. კომიტეტში არჩეულ იქმნენ შემდეგი ამხ. ბ. ბულდანიანცი, მ. გოგნიაშვილი, ს. ზარიძე, გ. დავიდოვი, ი. ხახვიშვილი, დ. რამაზაშვილი და თ. ლონიაშვილი.

დამსწრე.

ძვირფას ამხ.

ვანო ქორდანიას

ხსოვნას.

ულმობელად ზენამ გამოგვტაცა საუკეთესო ამხანაგი, რომელიც მუდამ ბავშვობიდან თავს დასტიალებდა ხალხს, რომელიც ემსახურებოდა მშრომელთა კლასს და მზით იყო მისი ინტერესებისთვის თავი შეეწირა. ამხ. ვანო იყო ძედგარი მებრძოლი. 1905 წ. ჯერ კიდევ სულ ბავშვმა აიღო წითელი რევოლიუციონური დროშა ქ. ზუგდიდში. მაშინ მან მისცა ფიცი და ამ ფიცით, დანაპირებს დევიგით ასრულებდა როგორც სტუდენტობის, ისე აფიცროობის დროს, როდესაც ის ქ. ქუთაისში არჩეულ იქნა თავმჯდომარეთ ჯარის კაცთა საბჭოსი. ზუგდიდის მაზრაში ირგვლივ, მას იხსენიებდენ გულითადი სიხარულით. ის წარმოადგენდა ხალხის ნამდვილ შვილს. სოფლის მუშა გლეხის ინტერესების დაცვა მისი ცხოვრების პროგრამას შეადგენდა. ჩვენ მასთან ახლო მყოფი ამხანაგები გაკვირებული ვიყავით თუ რა ნდობით ეპყრობოდა მას ჩვენი მშრომელი გლეხობა. ზუგდიდის მაზრაში ჩამოსვლისთანავე მთელი გლეხობის ყურადღება მან მიიპყრო. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ის სოფლის ჭუშას არასოდეს არ აგრძნობინებდა, რომ ის არ-ს მასზე ზევით მყოფი, პირიქით ის შორს იყო ყოველნაირ [illegible]

ყარი ვანო იყო დაუღალავი პარტიული მუშაკი, მინდობილობის შესრულებაში ის იყო შეუდარებელი რევოლიუციონერი. ხალხის სასარგებლოდ გეგმის შესრულებისათვის თავს არ ზოგავდა, მას არ ახსოვდა არც შიმშილი, არც წყურვილი. ყოველივე ფუფუნების მტერი, ფეხით ჩამოიარდა ყველა სოფლებს, რათა მდაბიო ხალხური ენით მშრომელთა მასისათვის გაეფართოვებია თვითცნობიერება, განეკურნა მისი ჭრილობები.

აფასებდა თუ არა ფართო საზოგადოება მის ღვაწლს? საეჭვო არ არის. აფასებდა! აი, ერთი მაგალითიც: პარტიის დავალებით ე. წ. ბოლშევიკური მოძრაობის დროს ის დადიოდა ზუგდიდის მაზრაში სოფლად, რათა შეეწყვიტათ იარაღით ხოცვა-ჟლეტა. ჩამოიარა განთქმული აბასთუმან-ნორაზენის შტაბებიც და ხალხს იწვევდა მშვიდობიანობისაკენ. 8 დეკემბერს საერობო არჩევნების დროს სოფ. აბასთუმანში, როდესაც ერასტო ჯიჯოლავამ (ვაჭარია, სოციალისტათ მოაქვს თავი) გასწია პროვოკაცია ამხ. ვანოს წინააღმდეგ ვითომ ის ურჩევდა ხალხს იარაღი არ დაეყარა — მთელმა ხალხმა პროტესტით იგრიალა და ცილის მწამებელს თავის ადგილი უჩვენა.

ზუგდიდის მაზრის მშრომელნო! თქვენ ჩამოგცილდათ ვანოს უდროოდ დაკარგვით საუკეთესო თქვენი გობარი, თქვენ თვითონ იცით ნო თქვენი დაუღალავი დამცველი იყო და რა ნუგეში უნდა მოგცეთ ჩვენ? მაგრამ ახსოვდეს ყველს: ძვირფასი ვანოს ანდერძს მისსამხანაგები არასოდეს არ უღალატენ, ისინი რევოლიუციონურ ფრონტს გაამაგრებენ და თავისი ძმებ მუშების ინტერესების დაცვაში გასკეცებულ ენერგიას გამოიჩენენ

ძვირფასო ვანო! ამით გეთხოვები, ენი სპეტაკი დაუფასებელი მოღვაწეობა მშრომელთა ხსოვნაში მუდმივ დარჩება. საუკეთესო მეგობარო, შვიდობით, იძინე ტკბილათ!

რევოლიუციონერი.

ᲫᲔᲒᲕᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

მეოთხე დღე, 24 დეკემბერი.

სხდომა დაიწყო 11 ს. 45 წ.

გამოწვეულნი არიან ზოგიერთი უკვე დაკითხული მოწმეები. მომჩივნები და დმცველები ზოგიერთ მოწმეების ხელ-ახლა დაკითხვაზე უარს აცხადებენ.

სამოქალაქო მომჩივანი ქავთარაძე შუამდგომლობს გამოწვეულ იქნას სამი დამატებითი მოწმე, ჩალხუშიანის პარტიული მრწამსის დასამტკიცებლად. დმცველი შუამდგომლობს გამოწვეულ იქნას მოწმედ დავითხანიანი.

სასამართლომ ორივე მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ბრალმდებელი ეკითხება ფაჩულიას: ჩხრეკის დროს თქვენ კუჩარიანცს ფიტილი უნახეთ თუ არა?

ფაჩულია. არ მახსოვს.

ხელახლა გამოიწვიეს მოწმე **ყურულაშვილი.**

ქავთარაძე. თქვენ გუშინ სთქვით, რომ კუჩარიანცი ხშირად დადიოდა თქვენს სახელოსნოში და პატრანტაშებს გაკეთებინებდათ. რათ უნდოდა ამდენი პატრონტაშები?

მოწმე. ეს იმ დროს იყო, როცა აქ სომხის ჯარები იყო. მას მოჰყავდა ნაცნობი აფიცრები და ჯარისკაცები.

ქავთარაძე. რატომ მაინც და მაინც კუჩარიანცი დადიოდა თქვენთან და მოჰყავდა აფიცრები, ჯარისკაცები.

მოწმე. ის იყო მანთაშევის ქარვასლის უფროსი, იარაღების და სხვა საწყობების ზედამხედველი.

ქავთარაძე. მოიგონეთ თქვენ,— როცა კუჩარიანცი შეგხვდათ ერევნის მოედანზე პირველად, - რა გითხრათ?

მოწმე. ჯერ მითხრა: შენ ჩემთან წამოდი მცხეთა-დილომში. გზაციცი და ქართულიც კარგათ იცოდა. მე ვკითხე: რატომ მეთქი? მან მითხრა სურსათის სასყიდლათ მივდივარო.

თავმჯდომარე. თქვენ, კუჩარიანცო, კატეგორიულად აცხადებთ, რომ სურსათის საყიდლათ მიდიოდით?

ბრალდებული კუჩარიანცი. მე თუ იაფად ვიშოვიდი ყიყიდიდი, თუ არა და გავისეირნებდი.

თავმჯდომარე. 120 მამეთი ფული აღმოგაჩნდათ, ასეთი პატარა თანხით რა უნდა გეყიდნათ?

ბრალდებული. მე კიდევ 350 მანეთი მქონდა, მაგრამ ჩხრეკის დროს წამართვეს.

თავმჯდომარე. ვინ წაგართვა?

ბრალდებული. რამოდენიმეჯერ გამჩხრიკეს და ახლა არ ვიცი, ვინ წამართვა?

სასამართლოს წევრი **ს. ჯიბლაძე.** როდის გაემგზავთეთ თბილისიდან და რა დროს?

ბრალდებული. მე წავედი საღამოთი.

ჯიბლაძე. სად მიდით პირველად?

ბრალდებული. მცხეთაში მიველ.

ჯიბლაძე. სოფ. მცხეთაში, თუ სადგურზე?

ბრალდებული. ჯერ სადგურში, შემდეგ მონასტრისკენ წავედი და სოფელში შევედი სურსათის საყიდლათ.

ჯიბლაძე. რომელ სოფელში შედით?

ბრალდებული. არ ვიცი.

ჯიბლაძე. სურსათის საყიდლათ მიდიოდი და რომელ სოფელში მედი, არ იცი?

ბრალდებული. არ ვიცი. მე ვმოგზაურობდი, რათ გინდათ, არ ვიცი. თუ სხვებს შეუძლია მოგზაურობა მთელ დედამიწის ზურგზე, რატომ მე მცხეთაში არ შემეძლო მოგზაურობა!—გაკვირვებით და თან გაჯავრებით შენიშნა კუჩარიანცმა.

დამსწრეებში ბრალდებულის ამ დაბნეულობამ და წინასწარ ჩვენების და ეხლანდელ ჩვენების შორის წინააღმდეგობამ სიცილი გამოიწვია. ყველა გრძნობდა, რომ კუჩარიანცის ჩვენებაში წინააღმდეგობა გამოწვეული იყო დარიგებით, რომლითაც ბრალდებულმა რიგიანად ვერ ისარგებლა.

შმაგაილოვი ავათ არის, სასამართლო აცხადებს, რომ ციხის ექიმი იწერება: შმაგაილოვი ავათ არის, ფეხით წასვლა არ შეუძლია, თუ ფაიტონით, ან ავტომობილით წაყვანილ იქმნა, მაშინ სასამართლოში შეუძლია ყოფნა, სასამართლოს მიერ გამოწვეულმა ექიმმა შეამოწმა და განაცხადა, რომ ბევრი არაფერი არ დაუშავდება ავადმყოფს, მხოლოდ შეიძლება ცივ ბინაზე ყოფნით ავადმყოფობა გაურთულდესო. სასამართლომ დაადგინა პროცესი გაგრძელდეს, ხოლო თუ ცუდათ შეიქნა ბრალდებული, ექიმები იქნან მოწვეული შესამოწმებლათ.

მოწმე ტერ-მინასოვი, (ექიმი). აცხადებს რომ ის 14 წელია, რაც ჩალხუშიანს იცნობს.

ქავთარაძე. მისი პოლიტიკური რწმენის შესახებ რას იტყვით?

მოწმე. სტუდენტობის დროს მას დაშნაკცაკანს უძახდნენ, რაზედაც ჩალხუშიანი ძლიერ ჯავრობდა. ისე, უკანასკნელ ხანებში მის სახლში მე დავდიოდი ცოლის საექიმოთ, მაგრამ პარტიული შეხლა-შემოხლა არ ყოფილა და არ ვიცი რომელ პარტიას ეკუთვნის.

კანდელაკი (ბრალმდებელი). წინასწარ გამოძიების დროს თქვენ სთქვით, რომ ჩალხუშიანი დაშნაკცაკანიაო.

აქ მოწმე დაბნეულ პასუხს იძლევა და ცდილობს როგორმე წინანდელს და ეხლანდელს ჩვენებას შორის ძაფი გააბას, მაგრამ ვერ ახერხებს და ამბობს: მე მგონია, რომ დაშნაკელებს უნდა თანაუგრძნობდესო.

ავეტისიანი (კუჩარიანცის მოწმეა) კუჩარიანცი ერთ-ერთი წევრი იყო მანთაშევის ქარვასლის „ოხრანის“. ის განაგებდა იმ იარაღებსაც, რომლის საწყობი იყო მანთაშევის ქარვასლაში, საერთოდ, ჩვენ მას განსაკუთრებულ დავალებებს არ ვაძლევლით, რადგანაც არ იყო შესაფერი ჭკუის პატრონი კაცი.

თავმჯდომარე. როგორი იყო კუჩარიანცის პარტიული მრწამსი?

მოწმე. რამდენათაც მე ვიცი, ის თანაუგრძნობდა დაშნაკციუტუნის პარტიას.

თავმჯდომარე. თქვენ იცნობდით თუ არა რუბენ ჩალხუშიანს?

მოწმ . საერთოდ ჩალხუშიანის გვარეულობას მე კარგათ ვიცნობ. როცა პეტროგრადში სომხის საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლას შეუდექი, ჩემი ყურადღება მიიპყრო დონის როსტოვის რაიონში მცხოვრებ ჩალხუშიანებმა, როგორც კლერიკალურ ბურჟუაზიულ ჯგუფებმა, რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვთ რევოლიუციონერებთან. რუბენ ჩალხუშიანს კი ისე ვიცნობდი.

თავმჯდომარე. რუბენ ჩალხუშიანი ეკუთვნოდა თუ არა დაშნაკცუტიუნის პარტიას?

მოწმე. მე თითონ დაშნაკცუტიუნის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვარ და შემიძლია ვსთქვა, რომ რუბენ ჩალხუშიანი ჩვენ პარტიას არ ეკუთვნის.

თავმჯდომარე. რას ისახავს მიზნად დაშნაკცუტიუნის პარტია?

მოწმე. მე ამაზე ცოტა უხერხულად მიმაჩნია პასუხის გაცემა, რადგანაც ეს ყველამ იცით ჩვენი პარტიის პოლიტიკური მიზანი ამიერ კავკასიის ფედერატიული ნიადაგზე მოწყობა, ოსმალეთის საზღვრებში კი სომხებისთვის ავტონომიის მიცემა. სოციალიზმის სფეროში კი იმასვე ისახავს, რასაც ყველა სოციალისტური პარტიები.

ამ უკანასკნელმა წინადადებამ დამსწრეებში ღიმილი გამოიწვია.

თავმჯდომარე. ასეთივე პროგრამა აქვს სამოქმედოთ ოსმალეთში სომხის დაშნაკციუტუნის პარტიას?

მოწმე. დია !

თავმჯდომარე. ჩალხუშიანი თქვენ პოლიტიკურ საკითხებში არ გეთანხმებოდათ?

მოწმე. ჩალხუშიანი იყო რუსეთის ორიენტაციის. ისე კი უფრო მე მას მივაკუთნებდი კადეტების პარტიას.

თავმჯდომარე. სად ხვდებოდით თქვენ ჩალხუშიანს?

მოწმე. ფინჯან ჩაიში.

თავმჯდომარე. ვის მიერ არის გახსნილი ეს საჩაიე?

მოწმე. დაშნაკცუტიუნის ბიუროს მიერაა გახსნილი.

ქავთარაძე. თქვენ სთქვით, რომ მე ვარ დაშნაკცუტიუნის ცენტრალური კომიტეტის წევრი და ვიცი, რომ ჩალხუშიანი ჩვენს პარტიას არ ეკუთვნისო. განა შეგიძლიათ იცოდეთ ყველა თქვენი პარტიის წევრები?

მოწმე. ცალცალკე ორგანიზაციებში იციან, ხოლო მე კი ყველას არ ვიცნობ.

მოწმე მატინოვი ამბობს, რომ ჩალხუშიანს ერთი წელია ვიცნობო. საჩაიეში შემხვდა სამი ოთხი დღით ხიდის აფეთქების წინეთ და მთხოვა წიგნი, სადაც წერია, თუ, როგორ უნდა საერთოდ აფეთქებაო.

თავმჯდომარე. თქვენ იცით თუ არა პოლიტიკური მრწამსი ჩალხუშიანისა?

მოწმე დანამდვილებით არ ვიცი.

სასამართლო აქვეყნებს წინასწარ გამოძიებაზე მატინოვის მიერ მიცემულ ჩვენებას, სადაც ნათლად სწერია, რომ მატინოვს უთქვამს ჩალხუშიანი დაშნაკცაკანიაო.

ეს მოწმეც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

მოწმე ცხიტიშვილი (რკინის გზის მოსამსახურეა) ციფრებით ხელში ამტკიცებს, რომ ხიდის აფეთქებამ რკინის გზას აზარალა 499,854 მანეთი.

გეგიძე (რკინის გზის ტეხნიკურ განყოფილების უფროსი) ამტკიცებს რომ ტეხნიკური საჭიროებისათვის ხიდის შესაკეთებლათ დაიხარჯა 87 ათასი მანეთი.

დასასრულ დაკითხეს ექსპერტ პოლკოვნიკ ჟღენტს. მან დაწვრილებით ახსნა, თუ რისთვის იყო საჭირო ესა თუ ის ნივთი, რომელიც დამნაშავეებს მიუტანიათ ხიდის ასაფეთქებლათ.

ბრალმდებელი. რათ ესაჭიროებოდა სანთელი?

მოწმე. სანთელს წაუცხებდენ ფიტილს, რათა ნოტიოს არ გაეფუჭებია.

ბრალმდებელი. იყო თუ არა ამ საქმისთვის ლუქი საჭირო?

ექსპერტი. არ იყო საჭირო.

ბრალმდებელი. აფეთქებას მიზნისთვის მიულწევია თუ არა?

ექსპერტი. არა. ამფეთქებლების მიზანი ყოფილა ხიდის სავსებით გაფუჭება.

ბრალმდებელი. რამდენჯერ უნდა აფეთქებულიყო, რომ დანარჩენ დინამიტსაც ემოქმედნა?

ექსპერტი. მგონი ორჯერ.

ბრალმდებელი. შეიძლება თუ არა კაცმა, რომელიც აფეთქებს გაიკაწროს ხელები და ფეხები?

ექსპერტი. შეიძლება, ეს დამოკიდებულია პიროვნებაზე.

ბრალმდებელი. როგორც ეტყობა, ასაფეთქებელი მასალები დამზადებული მიუტანიათ თუ იქ დაუმზადებიათ?

ექსპერტი. ყველაფერი ამტკიცებს, რომ წინასწარ დამზადებული ქონდათ ასაფეთქებელი მასალები.

ბრალმდებელი. შესაფერი ცოდნა ჰქონია თუ არა ამ საქმის ჩამდენს?

ექსპერტი. თეორიულად კარგათ ყოფილა მომზადებული, ხოლო პრაქტიკული გამოცდილება არ ჰქონია.

ბრალმდებელი. რამდენი კაცი უნდა ყოფილიყო?

ექსპერტი. სჩანს, რომ ოთხი კაცი ყოფილა.

ექსპერტს კიდევ რამოდენიმე კითხვას აძლევენ, ის ყველაფერზე გადაჭრით პასუხს იძლევა.

ამით დამთავრდა სასამართლოს სხდომა 24 დეკემბერს.

(25 დეკემბრის სხდომა)

მოწმეების დაკითხვის შემდეგ ბრალდებული პოლკოვნიკი შმაგაილოვი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა სხდომა გადადებულ იქნეს, რადგან ის თავს მეტად ცუდათ გრძნობს და მას, ტკივილების გამო, არ შეუძლია ჯეროვანი პასუხი მისცეს შეკითხვაზე. სხდომა სწყდება რამოდენიმე წუთით, რომ შეამოწმონ ბრალდებული. სხდომის განახლებისას, ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ სასამართლო უარყოფს შუამდგომლობას და სხდომა გრძელდება.

თავმჯდომარე. შემოვიდა ქალალდი ინგლისურ ენაზე. ეს გახლავთ მოწმობა, რუს პოლკოვნიკების სახელზე, მიცემული მოკავშირეთა მისიისაგან. არის თარგმანი ვექილი ზელენსკის. თუ ვინმემ იცის ინგლისური ენა გთხოვთ გადათარგმნოთ, რომ შევადაროთ თარგმანები.

გადათარგმნის შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს: „ამით ვამოწმებ, რომ ის რუსი პოლკოვნიკები, რომლებიც ღებულობდენ მონაწილეობას ქსანკასა და მცხეთის შუა მდებარე ხიდის აფეთქებაში არიან მოკავშირეების აგენტები და მოქმედებდენ მოკავშირეთა ინსტრუქციების თანახმათ“.

ხელს აწერს მოკავშირეთა მისიის პოლკოვნიკი ნ. ბ. ჯორდანი.

ზელენსკი (დმცველი) მოითხოვს, რომ პოლკოვნიკი ჯორდანი მოწვეულ იქნეს მოწმეთ.

შუამდგომლობა უარყოფილია ამის შემდეგ კითხულობენ ახლად შემოსულ გამომძიებელის ოქმებს სხდომა სწყდება მეორე დღემდის.

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲥᲕᲚᲐ.

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზებზე 20 ნოემბრიდან მატარებლები შემდეგი წესით ივლიან:

მატარებელი № 1—გადის თფილისიდან—17 ს. და 42 წ.,
ხაშურიდან—22 ს. და 22 წ.,
რიონიდან—3 ს. და 09 წ.,
ჩადის ფოთში—6 ს. და 33 წ.,
„ № 3 გადის თბილისიდან 10 ს. და 25 წ.,
„ ხაშურიდან 18 ს. და 04 წ.,
„ რიონიდან—23 ს. და 21 წ.,
გადის ფოთში—4 ს. და 36 წ.,
„ № 5 გადის თბილისიდან—22 ს. და 30 წ.,
„ ხაშურიდან—4 ს. და 02 წ.,
„ რიონიდან—9 ს. და 18 წ.,
ჩადის ფოთში—13 ს. და 08 წ.,

გ ა მ ო დ ი ს:

მატარებელი № 2 ფოთიდან—20 ს. და 49 წ.,
0 ს და 14 წ.,
რიონიდან—ან—5 ს. და 01 წ.
ოთიან 22 ს. და 34 წ.,
№ 4 იონიდან—4 ს. და 30 წ.,
რუსრიდან—12 ს. და 15 წ.,
ხაშისში მოდის 18 ს. და 25 წ.,
თბილფოთიდან—16 ს. და 11 წ.,
№ 6 ხაშურიდან—2 ს. და 33 წ.,
თბილისში მოდის 7 ს. და 20 წ.

მატარებლები №№ 1 და 2, სწრაა, თბილისსა და ფოთს შუა, ყველა ვაგონების საჯდომი ალაგები დანომრილია. პლაცკარტი ღირს სამგზავრო ბილეთის ფასის გარდა, 20 დან. ყველა ვაგონებში.

მატარებლები №№ 5 და 6—სამგზავროა თბილისსა და ფოთის შუა ყველა ვაგონებში საჯდომი ალაგები დანომრილია, პლაცკარტი ღირს გარდა სამგზავრო ბილეთის ფასის 10 მან. ყველა კლასებში.

მატარებლები № 3 და 4—საფოსტოა თბილისსა და ფოთს შუა პლაცკარტია.

სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—ცენტრალური კომიტეტი.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ

ამით აცხადებს, რომ გზისათვის საჭიროა **ათასი** (1000) ფუთი ხორბალი და **ორიათასი** (2000) ფუთი სიმინდი. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება კახეთის რკინის გზის სამმართველოში (ელისაბედის ქუჩა, № 73) სასურსათო კომიტეტის თავჯდომარე **ნ. ლეჟავასთან** 9—3 საათ. ტელ. № 7—50. 3—1